



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080185341621219

№ 2092

01 / მაისი / 2019 წ.

შპს „ელ ჯორჯის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 5 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „ელ ჯორჯის“ (ს/ნ: 406042036) 2019 წლის 5 აპრილის №04/05-01 მომართვა (რეგისტრაციის №3835), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2019 წლის 19 აპრილს შპს „ელ ჯორჯიმ“ წარმოადგინა 2019 წლის 19 აპრილის №04/019-01 და №04/019-01 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 4391 და № 4392), რომლებითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 15 აპრილის №1492 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ელ ჯორჯის“ (ს/ნ: 406042036) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2019 წლის 8 მაისს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ელ ჯორჯის“ (ს/ნ: 406042036) 2019 წლის 9 მაისიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე